


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამეცნიერო-ტექნიკური
კონფერენცია

ParametricCAD'99

ურობები

19-10 ნოემბერი
1999 წელი
თბილისი



კონფერენციის პროგრამა

18 ნოემბერი, 11⁰⁰ სთ.

1. კონფერენციის ბახსნა
2. CAD/CAM-ის ჯგუფში 1998/1999 წლებში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმოხილვა
ჯგუფის ხელმძღვანელი დოც. ა.მარმაზანაშვილი
3. მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის პროზნოზირება კლასტერული ანალიზის საშუალებით
პროფ. თ.ვერულავა, ასპ. მ.ტაბატაძე
სტუ, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
4. კლასტერის ზედაპირული წერტილების დადგენის მეთოდისა და ალგორითმის შემუშავება
მაგ. მ.მაძალუა, მაგ. ლ.ვერულავა
სტუ, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
5. კოორდირებული ინფორმაციის შერჩევა სახეთა გამოცდებისათვის
პროფ. კ.კამკამიძე, ლ.ქადაგიშვილი, დოც. მ.ზაკუტაშვილი
საქართველოს საინჟინრო აკადემია
6. ენერგონისტემების ნორმალური რეჟიმების პარამეტრების განაზღვრების მეთოდები
დოც. ნ.თურქია, მაგ. გ.მარიაშიძე
სტუ, CAD/CAM-ის ჯგუფი
7. ენერგონისტემების რეჟიმების ბათვლა კერსონალურ კომპიუტერებზე
პროფ. კ.კამკამიძე, ინჟ. ლ.ვიატკინა
სტუ, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
8. ადრეული დიფერენციული დიაგნოსტიკის მსპერტული სისტემა - EXPRESS'99, ბოტულიზმის მავალითვა
ასპ. ი.ზმალაძე,
თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტი
პროფ. ზ.ციხელაშვილი, დოც. გ.ჯანელიძე
სტუ, ჰიდროსაინჟინრო ფაკულტეტი
9. ლეიკოზების ნაადრევი დიაგნოსტიკის მსპერტული სისტემის კონსტრუირების საკითხისადმი
ასპ. მ.მჭედლიძე, პროფ. ზ.ციხელაშვილი, დ.გარუჯავა
მართვის სისტემების ინსტიტუტი

**10. საკონკურსო პროექტების შეფასების მესპერტული სისტემა
EXPERT**

დოც. ზ.კიკნაძე

სტუ. არქიტექტურის ფაკულტეტი

**11. ტერიტორიის შეფასების სისტემა სენსორი რისკის
გათვალისწინებით**

მად. ნ.ჩაჩავა

სტუ. არქიტექტურის ფაკულტეტი

19 ნოემბერი, 12⁰⁰ სთ.

**1. ბუნებრივი საამუშენო მოსაპირკეთებელი და
დეკორატიული ქვების დამუშავება**

პროფ. ა.სირაძე

სტუ, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

**2. სტომატოლოგიური ალმასური ბორების დამზადების
პროცესები**

პროფ. ა.სირაძე, მაგ. დ.მალასიძე, მაგ. ვ.სოლოლაშვილი

სტუ, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

**3. ბუნებითი ტანის დამზადების შემჩვივის კომპიუტერული
სისტემა**

დოც. ალ.შარმაზანაშვილი, მაგ. ეკერიშვილი

სტუ, CAD/CAM-ის ჯგუფი

**4. მიმართვები ბაზის სიხისტის მახასიათებელთა ორი სისტემა
და მათი ურთის დამოკიდებულების შემსახება**

დოც. ვ.შენიაშვილი

სტუ, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

**5. ტრუსული ფრეზით მგფ-ს დაკალიბრების პროცესის
ეფექტურობა**

პროფ. ზ.ჩიტიძე, დოც. გ.ტყემალაძე, მაგ. ი.გელაშვილი

სტუ, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

6. ავტომობილის ძარის კონსტრუირება პროგრამა MDT-ში

ზ.ციკლია

**7. კიდული საჩორტნ-სახეხი ჩარხის ახალი მოდელის
სტრუქტურა და დინამიკა**

ასპ. დ.სულამანიძე, პროფ. თ.მჭედლიშვილი, დოც. ნ.სულამანიძე, ასპ. ვ.ნიორაძე

სტუ, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

8. სადისკუსიო მახიდა, კონფერენციის დახურვა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტომატიზებული დაპროექტება

ალ.შარმაზანაშვილი, ე-გარიშიკაშვილი	
ბრუნვითი ტანის ნამზადების შერჩევის კომპიუტერული სისტემა	7
ი.ხმალაძე, ზ.ციხელაშვილი, გ.ჯანელიძე	
ადრეული დიფერენციული დიაგნოსტიკის ექსპერტული სისტემა - <i>EXPRESS'99</i> , ბოტულიზმის მაგალითზე	14
მ.მჭედლიძე, ზ.ციხელაშვილი, დ.გარუჯავა	
ლეიკოზების ნაადრევი დიაგნოსტიკის ექსპერტული სისტემის კონსტრუირების საკითხისადმი	24

მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია

გ.შანშიაშვილი	
მიმმართველი ბაზის სიხისტის მახასია-თებელთა ორი სისტემა და მათ შორის დამოკიდებულების შესახებ	28
ა.სირაძე	
ბუნებრივი საამშენებლო მოსაპირკეთებელი და დეკორატიული ქვების დამუშავება	36
ა.სირაძე, დ.მალასიძე, გ.სოლოლაშვილი	
სტომატოლოგიური აღმასური ბორების დამზადების პროცესები	39
ზ.ჩიტიძე, გ.ტყემალაძე, ი.გელაშვილი	
ტორსული ფრეზით მზღ-ს დაკალიბრების პროცესის ეფექტურობა	42
ზ.ჩიტიძე	
მერქანბურბუშელოვანი ფილების ზომითი დამუშავების ეფექტურობის ამაღლება	47
ზ.ჩიტიძე	
სალ-შენადნობიანი ხის დამამუშავებელი ინსტრუმენტის ეფექტურობა	51

ე. სემილეტოვა, ბ. ბოქოლიშვილი	
არალითონური მასალების ლაზერული ჭრის	
საკითხისათვის	56

კომპიუტერული მოდელირება

ო.ვერულავა, მ.ტაბატაძე	
მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის პროგნოზირება	
კლასტერული ანალიზის საშუალებით	62
მ.მამაღლა, ლ.ვერულავა	
კლასტერის ზედაპირული წერტილების დადგენის მეთოდისა	
და ალგორითმის შემუშავება	67
კ.კამკამიძე, ლ.ქადაგიშვილი, მ.ზაკუტაშვილი	
კოდირებული ინფორმაციის შერჩევა სახეთა გამოცნობის	
ათვის	73
კ.კამკამიძე, ლ.ვიატკინა	
ენერგოსისტემების რეჟიმების გათვლა პერსონალურ	
კომპიუტერებზე	77
ნ.თურქია, გ.მარიამიძე	
ენერგოსისტემების ნორმალური რეჟიმების პარამეტრების	
განგარიშების მეთოდები	87

კონსტრუქცია

დ.სულამანიძე, თ.მჭედლიშვილი, ნ.სულამანიძე, გ.ნიორაძე	
კიდული საჩორტნ-სახეხი ჩარხის ახალი მოდელის	
სტრუქტურა და დინამიკა	95
მ.დოჭვირი	
საჭის ელექტროჰიდროამპრავიანი გემის კურსის მართვის	
სისტემის სინთეზი	101

რეზერვატები	106
------------------------------	-----

ავტომატიზებული დაპროექტება

UDC 658.512.011.56

ბრუნვითი ბანის ნამზადების შერჩევის კომპიუტერული სისტემა

ტ.მ.კ., დოც. ალ. შარბასიანი

ასპ. ე.ბერიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

CAD/CAM-ის ჯგუფი

ნამზადი არის შრომის საგანი, რომლის ფორმის, ზომის, ზედაპირის სიმქისის და მასალის შემადგენლობის შეცვლით მიიღება დეტალი. საზოგადოდ, ნამზადის ტიპის შერჩევა დამოკიდებულია მასალაზე, დეტალის გეომეტრიაზე, წარმოების მოცულობაზე და ღირებულებაზე.

$$W = \phi(m, g, n, c)$$

სადაც, m - მასალა, g - გეომეტრია, n - რაოდენობა, c - ღირებულება.

მანქანათმშენებლობაში ნამზადის ძირითადი ტიპებია: სხმულები, ნაჭედები, ნაშტამბები და სხვადასხვა პროფილის ნაგლინი.


ამასთანავე ცნობილია ნამზადის შერჩევის მეთოდები [1], რომლებიც შეიძლება განზოგადდეს, როგორც შემდეგი ეტაპების თანმიმდევრობა:

- I. ტექნიკურ-ეკონომიკური გათვლების ჩატრება ალტერნატიული პროცესებისათვის;
- II. ნამზადის ტიპის შემოწმება ტექნოლოგიურობაზე;
- III. არსებული ტიპების შედარებითი ანალიზი.

ნამზადის დაპროექტება ტრადიციულად ორ ეტაპად მიმდინარეობს. თავდაპირველად ირჩევენ საწყის ნამზადს, ანუ ნამზადის ტიპს და მიახლოებით გეომეტრიას, ხოლო შემდგომ დეტალის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების დაპროექტების ეტაპზე, სტატისტიკური ან ანალიტიკური მეთოდით ხორციელდება საწყისი გეომეტრიის დაზუსტება და ნამეტების ანგარიში. საწყისი ნამზადის შერჩევის ამოცანა განეკუთვნება ტექნოლოგიური პროცესების დაპროექტების ადრეულ კონცეპტუალურ ეტაპს. ამ ეტაპზე ალტერნატიული პროცესების შედარებით ფართო სპექტრი არსებობს და ცვლილებები შედარებით ნაკლებ დანახარჯებთანაა დაკავშირებული (ნახ.1). შესაბამისად მოცემული დეტალისათვის, საწყისი ნამზადის ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

საწყისი ნამზადის ოპტიმალური შერჩევის მეთოდი უნდა

ითვალისწინებდეს დეტალის დამზადების ტექნოლოგიური პროცესისა და წარმოების ამოცანებს, ამიტომ იგი უნდა ეფუძნებოდეს ფართო ემპირიულ მასალას და დასკვნებს. ამ მიზნით გამოყენებული იქნა



ნახ.1

ჭულის უნივერსიტეტის პროფესორის კ. სვიფტის მიერ შემოთავაზებული მეთოდიკა ოპტიმალური ტექნოლოგიური პროცესების შერჩევისათვის [2]. ნაშრომში ფორმალიზებულია 50 ტიპური პროცესი, რომელიც მიღებულია 20 ათასამდე საწარმოს ფაქტობრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ვინაიდან აღნიშული მეთოდიკა არ არის გამიზნული კონკრეტულად საწყისი ნამზადების შერჩევის ამოცანის გადაწყვეტისათვის, ამიტომ ჩატარებული იქნა კვლევა შრომში მოყვანილი მეთოდიკის გაფართოებისათვის.

ამ მიზნით შემუშავდა სამუშაოს შესრულების შემდეგი მეთოდური გეგმა:

1. განსახილველი ნამზადის ტიპების სიმრავლის დადგენა
2. თითოეული ტიპისათვის პირველადი შერჩევის წესების შემუშავება
3. ოპტიმიზაციის მოდელის დამუშავება
4. ავტომატიზებული დაპროექტების სისტემის დამუშავება.

კ.სვიფტის ნაშრომში მოცემულ ფაქტობრივ მასალზე დაყრდნობით დამუშავდა ნამზადის კომპიუტერული შერჩევის მეთოდი. გამოიყო ნამზადის შერჩევის ორი ძირითადი ეტაპი:

- I. ალტერნატიული პროცესების შერჩევა
- II. ოპტიმიზაცია.

I ეტაპზე ხდება მოცემული საწყისი პირობებისათვის დასაშვები პროცესების შერჩევა, ამისათვის ნაშრომში მოყვანილი მასალიდან უნდა დადგინდეს შერჩევის წესები; II ეტაპზე კი ხორციელდება პირველ ეტაპზე შერჩეული პროცესების შედარებითი ანალიზი.

თავდაპირველად ბრუნვითი ტანის დეტალებისათვის შეირჩა ნამზადის ტიპები, რომლებიც მიიღება შემდეგი ტექნოლოგიური პროცესებით:


1. ჩამოსხმა ქვიშის ყალიბებში
2. ჩამოსხმა წნევით
3. შტამპვა
4. დართყმითი გამოწნევა

განალიზებული იქნა არსებული მასალები და ჩამოყალიბდა თითოეული პროცესის პირველადი შერჩევის წესები და ალგორითმები. აღნიშნული წესები წარმოადგენენ პროდუქციების ერთობლიობას, ხოლო ალგორითმები, ამ პროდუქციების შესრულების თანმიმდევრობას (ნახ.2) ჩამოსხმა ქვიშის ყალიბებში

```

w1. If(MASALA='ლევირებული ფოლადი')
   or (MASALA='თუთიის შენადნობი')
   and (SERIA=1-1000)
   THEN TRUE
   ELSE FALSE
w2. If(MASALA='რკინა')
   or(MASALA='ნახშ.ფოლადი')
   or(MASALA='უკანგი ფოლადი')
   or(MASALA='სპილ.შენად.')
   or(MASALA='ალუმინის შენად')
   THEN TRUE
   ELSE FALSE
w3. If(MASA=20კგ-400კგ)
   THEN TRUE
   ELSE FALSE

```



ნახ.2

წესი 1-ის თანახმად თუ მასალად შერჩეული იქნა ლევირებული ფოლადი ან თუთიის შენადნობი, მაშინ წარმოების მოცულობა უნდა იყოს 1-1000 დეტ/წელიწადში. წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესი არ შეიარჩევა.

მე-2 წესის თანახმად თუ მასალად შერჩეული იქნა რკინა, ნახშირბადიანი ფოლადი, სპილენძის შენადნობი ან ალუმინის შენადნობი დეტალის დამზადება შეიძლება წარმოების ნებისმიერი რაოდენობისათვის. ჩამოსხმა ქვიშაში ყალიბებში აღნიშნული მასალებისათვის მიზანშეწონილია როგორც ერთეულოვანი ასევე მასიური წარმოებისათვის.

ამასთან პირველი ან მეორე წესის ჰერმეტიკების შემთხვევაში დაკმაყოფილებული უნდა იქნას მე-3 წესი, რომლის თანახმადაც ნამზადის წონა 20გ-დან 400კგ-დე უნდა იყოს.

აღწერილი წესები ანალოგიურია დანარჩენი პროცესებისათვის. თითოეული პროცესისათვის შერჩევის წესები ემყარება არსებული პროცესის შესაბამის მონაცემებს.

სტატიაში განხილული ნამზადის პროექტირების მეთოდის II ეტაპს წარმოადგენს ოპტიმიზაცია. ამ ეტაპზე ხდება I ეტაპზე შერჩეული პროცესების შედარებითი ანალიზი პროდუქციის თვითღირებულების

მიხედვით.

ნაწარმის თვითღირებულება ყოველთვის მთავარი ელემენტია პროდუქციის პროექტირებისას. იმისათვის, რომ სწორად შეირჩეს ტექნოლოგიური პროცესი, დადგინდეს მისი ალტერნატივები, აუცილებელია თვითღირებულების განსაზღვრა მოხდეს პროექტირების ადრეულ სტადიებზე. ღირებულების წინასწარ განსაზღვრა საშუალებას იძლევა რაც შეიძლება შემცირდეს თვით პროექტისა და პროდუქციის თვითღირებულება.

პირობითად შეიძლება გამოიყოს ოპტიმიზაციის ორი მოდელი: მიახლოებითი და ზუსტი გათვლებით. ნაშრომში გამოყენებული თვითღირებულების გამოთვლის მეთოდი ოპტიმიზაციის მიახლოებით მოდელს წარმოადგენს. პროდუქციის თვითღირებულების გამოთვლა ხდება მასალის და იმ პროცესის ღირებულების განსაზღვრით, რომლითაც მიიღება მოცემული ნაშნადი.

ნაშნადის თვითღირებულება M_i გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$M_i = V C_{mt} + R_c P_c$$

სადაც: V - ერთი ნაშნადის დასამზადებლად საჭირო მასალის მოცულობაა, C_{mt} - მასალის ღირებულება მოცულობის ერთ ერთეულზე, P_c - ძირითადი პროცესის თვითღირებულება, R_c - რეალური პროცესის თვითღირებულება, რომელიც განისაზღვრება ზედაპირის სირთულის, მასალის და პროცესის, კვეთის ზომების, სიზუსტის და სიმქისის მიხედვით.

ძირითადი პროცესის P_c -ს თვითღირებულების გამოსათვლელად აუცილებელია განისაზღვროს ის ფაქტორები, რომლებზეც არის დამოკიდებული იდეალური პროცესის თვითღირებულება.

$$P_c = \alpha T + \beta / N$$

სადაც: α - პროცესის ერთი წამის ღირებულებაა (გაწყობის, მუშახელის, საამქროსა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით); β - „იდეალური“, ეტალონური ნაშნადის დასამზადებლად საჭირო იარაღების ღირებულება; T - ეტალონური ნაშნადის დასამზადებლად საჭირო დრო გამოსატყუი წამებში; N - წარმოების მოცულობა.

R_c რეალური პროცესის კოეფიციენტი მიუთითებს თუ რამდენად განსხვავდება რეალური პროცესის ღირებულება იდეალურისაგან.

R_c რეალური პროცესის ღირებულება დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

$$R_c = \phi (C_{mp}, C_c, C_s, C_t, C_f)$$


სადაც: C_{mp} - მასალის გამოყენებადობის კოეფიციენტი; C_c - სირთულის კოეფიციენტი; C_s - კვეთის კოეფიციენტი; C_t - სიზუსტის კოეფიციენტი; C_f - სიმქისის კოეფიციენტი.

C_{mp} დამოკიდებულია მასალაზე, მისი განსაზღვრა ხდება ტიპური

ცხრილებიდან.

C_c სირთულის კოეფიციენტი ფუნქციონალურ კავშირშია ზედაპირის სირთულესთან. ზედაპირი სირთულის მიხედვით იყოფა 5 კატეგორიად (ნახ.3). პირველ ეტაპზე ხდება სირთულის კატეგორიის დადგენა, ხოლო შემდეგ ტიპური ცხრილების გამოყენებით და უკვე შერჩეული კატეგორიის მიხედვით ისაზღვრება სირთულის კოეფიციენტი.

C_s ფუნქციის დამოკიდებულება თითოეული ნაშადის ტიპისათვის იქნა აპროქსიმებული ექსპერიმენტალურად მიღებული მრუდებიდან და



შემზღვებული ადეკატურობაზე.

ნალოგიურად C_t და C_f კოეფიციენტების განსაზღვრა ხდება აპროქსიმირებით მიღებული დამოკიდებულებებით, თითოეული ტიპისათვის. ქვემოთ მოყვანილია შესაბამისი მათემატიკური მოდელები:

- ჩამოსხმა ქვიშიან ყალიბებში

$C_s = -1.4 \lg s + 2.14$	ადეკატურობა – 5%
$C_t = -1.06 \lg t + 1.14$	ადეკატურობა – 6%
$C_f = -1.48 \lg f + 2.86$	ადეკატურობა – 4%
- ჩამოსხმა წნევით

$C_s = -0.8 \lg s + 1.25$	ადეკატურობა – 4%
$C_t = -2.17 \lg t - 0.99$	ადეკატურობა – 8%
$C_f = -2.5 \lg t + 0.9$	ადეკატურობა – 5%
- შტამპვა

$C_s = -0.86 \lg s + 1.48$	ადეკატურობა – 2%
$C_t = -0.83 \lg t + 1.34$	ადეკატურობა – 8%
$C_f = -1.9 \lg f = 2.47$	ადეკატურობა – 6%
- დარტყმითი გამოწნევა

$C_s = 1$	
$C_t = -1.8 \lg t - 1.16$	ადეკატურობა – 2%


$$C_f = -3.81 \lg f + 0.92$$

ადეკვატურობა – 2%

აღნიშნული მეთოდის საფუძველზე დამუშავდა კომპიუტერული დაპროექტების სისტემა. ინტერაქტიური რეჟიმის სცენარი განხორციელებულია 3 ფორმაში.

პირველ ფორმაზე მასალის, რაოდენობის და წონის პარამეტრების მითითებით ხდება იმ პროცესების შერჩევა, რომლის პირველადი შერჩევის წესებიც აკმაყოფილებენ მოცემულ პირობებს. მაქსიმალური ზომის მიხედვით დგინდება სიზუსტე. საწყისი მონაცემების მიხედვით ხდება მინიმუმი და მაქსიმუმი გაბნევის განსაზღვრა.

მეორე ფორმაზე მოცემულია ზედაპირის ფორმის სირთულის ის 5 კატეგორია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება სირთულის კოეფიციენტი.




შესასვლელი მონაცემები

მესამე ფორმაზე ნაჩვენებია ოპტიმიზაციის მოდელის თანახმად გამოთვლილი იმ ნაშაადის ტიპების თვითღირებულება, რომელთა შერჩევაც მოხდა პირველ ფორმაზე.


სისტემა შეიქმნა ობიექტზე ირიენტირებულ, ვიზუალურ გარემო C++ Builder-ში, რომელიც განსაზღვრულია ოპერაციული სისტემა Windows'x-ისთვის.

ლიტერატურა

1. И. С. Добриднев “Курсовое проектирование по предмету



ფორმის სორთულე



ТехнологияМашиностроения”.-Москва,1986.

2. K.G .Swift, J. D. Booker “Process selection” U.K.1997

UDC 681.784.8

**ადრეული დიფერენციული დიაგნოსტიკის ექსპერტული
ნისტამა - EXPRESS'99 ბოტულიზმის მაგალითზე**

ასპ. იხმალაძე

თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტი

პროფ. ზ.ციხელაშვილი, დოც. ბ.ჯანელიძე

საკართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჰიდროსანიტინერო ფაკულტეტი

EXPRESS'99 მზა პროგრამული პროდუქტია, რომელიც რეალიზდება თანამედროვე ტიპის კომპიუტერებზე. სისტემის შექმნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ისეთი, ეგზოტოქსინური ინფექციური დაავადების, როგორც ბოტულიზმი წარმოადგენს, ადრეულ ეტაპზე ზუსტი დიაგნოსტიკა ჯერ კიდევ პრობლემატურად რჩება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოტულიზმს ახასიათებს ეპიდ. აფეთქებები და მაღალი ლეტალობა. საყურადღებოა, რომ ბოლო წლებში საქართველოში (და მის ფარგლებს გარეთაც) შეიმჩნევა ამ სერიოზული დაავადების შემთხვევათა რიცხვის მატება.

ინფექციური პათოლოგიის ცენტრის მასალის მიხედვით ამ მაჩვენებელმა 1994 წელს 164-ს მიაღწია, მათგან 13 შემთხვევა ლეტალურად დამთავრდა, რაც საერთო რაოდენობის 7,9%-ს შეადგენს [6]. დღევანდლამდე ბოტულიზმით დაავადების შემთხვევათა რაოდენობრივი მაჩვენებელი კვლავაც სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს.

ბოტულიზმის დროს, ისევე როგორც ნებისმიერი დაავადებისა თუ პათოლოგიური მდგომარეობის განვითარებისას, კეთილსაიმედო გამოსავალი მეტწილად დროულად დაწყებულ სწორ მკურნალობას ემყარება, ამიტომ პირველ რიგში დაავადების ზუსტი დიაგნოზის განსაზღვრას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ბოტულიზმს არ ახასიათებს არც ერთი სიმპტომი, რომელიც მხოლოდ მისთვის იქნებოდა მკაცრად სპეციფიკური და განარჩევდა მას სხვა დაავადებისა თუ პათოლოგიური მდგომარეობისაგან. აქედან გამომდინარე, ექსპერტულ სისტემას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ვინაიდან ბოტულიზმის დაგვიანებული გამოვლენა არც თუ იშვიათად განპირობებულია ობიექტური და სუბიექტური სიძნელეებით, რომელთაც სხვა პათოლოგიურ მდგომარეობებთან მისი

მსგავსება უდევთ საფუძვლად.

აღნიშნულ კონტექსტში EXPRESS'99-ის როლი და დანიშნულება პრაგმატული თვალსაზრისით - ექიმ-სპეციალისტთა მიერ მისი გამოყენება, როგორც სასწავლო-მრჩეველის, ასევე ტრენაჟორულ რეჟიმებში მეტად მნიშვნელოვანია.

ვინაიდან საბოლოო დიაგნოზის დასმის უფლება მხოლოდ ექიმთა პრეროგატივას წარმოადგენს, შესაბამისად EXPRESS'99 კლინიცისტს აძლევს საშუალებას მაქსიმალურად გამორიცხოს სუბიექტური შეცდომის დაშვების შესაძლებლობა და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება, ანუ სწორად განახორციელოს დიფერენცირება დაავადებათა შესაძლო ალტერნატივებს შორის.

პერსონალური ექსპერტული სისტემა EXPRESS'99-ის შესაძლებლობათა აღწერამდე უპრიანია ჩავატაროთ შემდეგი ანალიზი: რ.ს. ლედლისა და ლ.ბ. ლასტერის “დიაგნოზის ობიექტური საფუძვლების” მიხედვით [1] თუ გამოვკითხავთ ექიმს, როგორ ახდენს იგი დიაგნოზის დასმას, ასეთ პასუხს მივიღებთ:

- იგი პირველყოფლისა ავადმყოფს ჩაუტარებს გამოკითხვას (შეაგროვებს ანამნეზს), გასინჯავს მას და მოითხოვს ლაბორატორიულ გამოკვლევათა პასუხებს;

- ექიმი გონებაში შეფასებას აძლევს შეგროვილ სიმპტომებსა და კლინიკურ თავისებურებებს, ახდენს მათ დახარისხებას მნიშვნელობისა და პრიორიტეტის გათვალისწინებით (მათგან ზოგი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს, ზოგიც უმნიშვნელო);

- დიაგნოზის დასმის მიზნით ექიმი გონებაში ადარებს შეგროვილ კლინიკურ გამოვლინებათა და ნიშანთა ერთობლიობას ყველა იმ დაავადებასა თუ პათოლოგიურ მდგომარეობას, რომლებიც მისი აზრით შესაძლებელია მეტნაკლებად შეესაბამებოდეს ავადმყოფის მოცემულ მდგომარეობას. შემდეგ თანდათანობით, გამორიცხვის წესით, უგულვებელყოფს ჯერ ერთ, შემდეგ მეორე პათოლოგიას და ა.შ., სანამ არ გახდება ცხადი, რომ დარჩენილი ნოზოლოგია ყველაზე მეტად შეესაბამება პაციენტის მდგომარეობას. შესაძლოა აგრეთვე ერთდროულად აღინიშნოს რამდენიმე პათოლოგიის თავმოყრის შემთხვევა, ან კიდევ ზუსტი დიაგნოზის განსაზღვრა შეუძლებელი იყოს.

ამრიგად, ექიმი ითვალისწინებს რა საერთო სიტუაციას

და მისგან გამოყოფს მნიშვნელოვანს თავისი სპეციფიკით, იგი აკეთებს დასკვნას დიაგნოზისათვის. ამისათვის კი ექიმმა საკუთარი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე უნდა ჩაატაროს ანალიზი და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება, რომელიც დამოკიდებულია მისი ცოდნის ხარისხზე, მეხსიერებაზე, გამოცდილებაზე, ინტუიციასა და სწორი ანალიზის უნარზე, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ექიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მაინც სუბიექტურ ხასიათს ატარებს და არ არის გამორიცხული შეცდომის დაშვების ალბათობა, რომელსაც საბოლოო ჯამში მცდარ დიაგნოზამდე მივყავართ.

სუბიექტური შეცდომის გამორიცხვის მიზნით სამედიცინო კიბერნეტიკოსები ცდილობენ მათემატიკური აპარატის აქტიურ გამოყენებას და არც თუ შემთხვევით.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი მათემატიკური მოდელი ეყრდნობა საწყის ინფორმაციულ მონაცემებს და მათ შესაბამის შეზღუდვებს, რის გამოც ანალიზის პროცესში შესაძლოა არ იყოს გათვალისწინებული რომელიმე ინფორმაციული მონაცემი (დაეუშვათ გამონაკლისი), რაც გარკვეულწილად აქვეითებს მიღებული დასკვნის საიმედოობასა და შედეგიანობას.

მედიცინაში გამოყენებული მათემატიკური მეთოდებიდან აღსანიშნავია ფაქტორული და კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის აპარატი, რომლის გამოყენება საშუალებას იძლევა შეიქმნას სამეცნიერო-სისტემური კვლევის სქემა, ანუ დიდი ინფორმაციული მასალის გადამუშავების მეშვეობით კომპლექსურად აღიწეროს შესასწავლი მოვლენა, დახასიათდეს რთული სისტემის ყოფა-ქცევა, მიღებულ იქნას უტყუარი პროგნოზი, შემოწმდეს პროგნოზირების საიმედოობა და ა.შ.

ფაქტორული და კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გამოიყოს საერთო (დომინანტური) ფაქტორები მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მიხედვით და აიგოს პროგნოზირების შესაბამისი რეგრესიული დამოკიდებულებები.

სტატისტიკური ანალიზის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ:

- თითქმის ყოველთვის შეუძლებელია სრული, უტყუარი და საიმედო ინფორმაციის შეგროვება შესასწავლი მოვლენის მიმართ;

- დასახასიათებელ ცვლადებს შორის კავშირი ძირითადად

დაიშვება წრფივი (ხაზობრივი) სახით;

- არსებული ფაქტების, მოვლენებისა და სუბიექტური მსჯელობების სრულყოფილი აღწერა სტატისტიკური მიდგომებით ყოველთვის არ არის შესაძლებელი.

თანამედროვე სამეცნიერო მიმართულების მნიშვნელოვან “პროდუქტს” წარმოადგენს ექსპერტულ სისტემათა შექმნა მედიცინაში, საინჟინრო, კოსმოსურ, სამხედრო საქმეში, ტექნოლოგიურ პროცესთა მართვისათვის და ა.შ. ამჟამად თითქმის არ არსებობს ისეთი გამოყენებით დარგი, სადაც არ იყოს შესაძლებელი ექსპერტული სისტემის შექმნა. მათი კონსტრუირებისას უმთავრესია ინფორმაციულ მონაცემთა და ცოდნის საფუძველთა შედგენა და მათი ფორმალური აღწერა ინტელექტუალური (ექსპერტული) სისტემისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საერთო წესი მონაცემთა და ცოდნის საფუძვლების ჩამოყალიბება-დახასიათებისათვის არ არსებობს. ცნობილია ფრეიმების ტიპის პოპულარული მოდელები, პროდუქციული და სემანტიკური ქსელები, რომელთა გამოყენება მიზანშეწონილია პროცესთა კონცეპტუალური აღწერისას. ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ ცოდნის ის საფუძვლები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ ამა თუ იმ საგნობრივი დარგის ექსპერტული სისტემის გარსში, ხშირად არაზუსტი და არასრულია, რის გამოც ასაკები ექსპერტული სისტემა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ღია სისტემა და იმავდროულად იძლეოდეს მასში ახალი მტკიცებულებებისა და ფაქტების შეტანის შესაძლებლობას. კერძოდ, თუ მტკიცებულება გამოყვანილია რაიმე $\{F_i\}$ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან, მაშინ სამართლიანი იქნება შემდეგი ერთობლიობაც $\{F_i\} \cup F^+$, სადაც F^+ - რაიმე დამატებითი (ახალი) მტკიცებულებაა [2].

თანამედროვე მეცნიერების განვითარება თითქოს უარყოფს ამ პრინციპს, ვინაიდან მეცნიერი, რომელიც აკეთებს F დასკვნას ცნობილი $\{F_i\}$ ფაქტებიდან, არასდროს ფიქრობს, რომ შემდგომში შეიძლება გამოჩნდეს ისეთი F^* ფაქტი, რომელიც შეეწინააღმდეგება მოყვანილ F ტეზისარტებას [2]. ამრიგად, მეცნიერი სარგებლობს დასკვნების არამონოტონურობის პრინციპით, რომელიც თავის მხრივ ეწინააღმდეგება ჩაკეტილი ლოგიკური სისტემების ძირითად პრინციპებს. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ლოგიკური დასკვნა შეუძლებელი გახდა? – ლოგიკური დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა რა თქმა უნდა რჩება, მაგრამ ამ შეთხვევაში

ხელოვნური ინტელექტის კვლევის მეთოდთა გამოყენება გარდაუვალი ხდება.

ნაშრომის მიზანია, შეიქმნას ისეთი პროგრამულ-ინსტრუმენტული ინტელექტუალური (ექსპერტული) სისტემა, რომელიც დაეხმარება პრაქტიკოს ექიმს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელოვან საფუძველს (საკვლევ ელემენტს) ცნების ფორმირება წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი შრომები ცნების ფორმირების შესახებ ბ. ჰანტსა და მის თანაავტორებს ეკუთვნით [3]. ჰანტის განსაზღვრებით, ცნება, ეს არის ის წესი, რომლის გამოყენებით შესაძლებელია განისაზღვროს, მიეკუთვნება თუ არა მოცემული ობიექტი განხილულ დასახელებას ან კლასს.

სამედიცინო ასპექტში ჰანტის თეორიის ღირსება შემდეგში მდგომარეობს:

- ნიშანთვისებათა სისტემა წარმოადგენს სამედიცინო პროცესთა (მდგომარეობათა) აღწერის ბუნებრივ საშუალებას.

- წარმოდგენილი ცნება შეადგენს მნიშვნელოვან ნიშანთვისებათა კრებულს (გადაწყვეტილებათა მიღება ე.წ. “ხის” საშუალებით), რაც მოითხოვს ამ აღწერისათვის “მკაცრი” ფორმულების გამოყენებას;

- ფორმირებული ცნება ატარებს შემთხვევით ხასიათს, რაც იმით აიხსნება, რომ რომელიმე კრიტერიუმის განსაზღვრისათვის იყენებენ შემთხვევით შერჩეულ რამდენიმე პარამეტრს, რომელთაგან ერთ-ერთი ამოირჩევა;

- ცნების ფორმირებისას აღწერის სიზუსტისათვის გვეძლევა აპრიორული შეზღუდვები.

ინტელექტუალური ცნების სრული ფორმულირება (პროცედურა) შემოთავაზებულ იქნა აკად. ვლ. ჭავჭავაძის მიერ “კონცეპტუალური თეორიის” საფუძველზე [4, 5]:

ობიექტური აღწერა (ისევე, როგორც ჰანტის შემთხვევაში) სრულდება ნიშან-თვისებების მნიშვნელობათა გამოყენებით. დაეუშვათ, ნიშან-თვისების მნიშვნელობები კოდირებულია $1, 2, \dots, 2^m$ რიცხვებით, რომლებიც აღიწერებიან ალგებრული სიმრავლეებით (ე.წ. ალსიმრავლე). ალსიმრავლისათვის დამახასიათებელია ის, რომ მასში შემავალი ელემენტები შეიძლება დაფიქსირდეს როგორც “არსებობისას” ($e \in A$), აგრეთვე “არ არსებობისას” ($e \notin A$).

დაეუშვათ, S_m ნიშან-თვისების მნიშვნელობას შეესაბამება S_{min} კოდი, რომელიც შეიძლება მოხვდეს ან A_m

აღსიშვალეში, ან Am აღსიშვალეში. პირველ შემთხვევაში მისი მნიშვნელობა აღიწერება $\bar{\Psi}$ მატრიცით, ხოლო მეორე შემთხვევაში მატრიცით. ეს საშუალებას იძლევა ნებისმიერი ობიექტი წარმოდგენილი იქნეს $\check{\Psi}_1 \dots$

ტრაექტორიით, ფუნქციათა კონიუნქციის სახით, სადაც

არის ან Ψ_m , ან კიდევ $\check{\Psi}_m$. Sm (m=1, ..., N) მნიშვნელობიდან გამომდინარე:

- ობიექტები აღიწერებიან ნიშან-თვისებათა ტრაექტორიით ;

- ფუნქციები განიხილებიან, რიგორც ლოგიკური ცვლადები, რომლებიც მიიღებენ ორ მნიშვნელობას $\Psi_{m,i}^{(j)}$

ან $\bar{\Psi}_{m,i}^{(j)}$ (m ნიშნის ნომერია, i ფუნქციის ნომერი, ხოლო j

$\check{\Psi}_{mi}^{(j)}, \dots, \check{\Psi}_{n,1}^{(x)}$

- დონის ნომერი). ($\Psi_{m,i}^{(j)}, \dots, \Psi_{n,i}^{(j)}$)-ის საფუძველზე აიგება პირველი დონის შესაბამისი დიზუნქციური სრულყოფილი ნორმალური ფორმა (DCMΦ).

- მიღებული (DCMΦ) ფორმის მინიმიზაციის რეზულტატს შეადგენს პირველი დონის ცნება. შემდეგ ეტაპს შეადგენს (j-1)-დან (j=2, 3, k)-მდე იმპლიკანტის "ხის" განტოტვა- განშტოება;

- თითოეული (j-1) დონე წარმოადგენს ტრაექტორიას;

- $\Psi_{i,j,1}, \dots, \check{\Psi}_{m,lm}^{(j)}$ საფუძველზე აიგება j-დონის შესაბამისი (DCMΦ);

- მიღებული (DCMΦ) მინიმიზაცია და განხილვა ხდება როგორც j-დონის ცნების რეზულტატ.

აკად. ვლ. ჭავჭავანიძის მიერ წარმოდგენილი კონცეპტუალური მეთოდი (ისევე როგორც პანტის) იყენებს მედიცინისათვის იმ ნიშან-თვისებათა აღწერის ენას, რომელთა საფუძველზეც ხდება ცნების ფორმირება. მიღებული ლოგიკური ფორმა ფორმულის სახეს ატარებს, რომლის საშუალებით აღიწერება ნორმალური და პათოლოგიური მდგომარეობები. იმავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ აკად. ვლ. ჭავჭავანიძის

კონცეპტების თეორია შეიცავს იმ ღირსებას, რომლებიც ჰანტის მეთოდს გააჩნია. ამავე დროს, იგი თავისუფალია იმ შეზღუდვებისაგან, რომლებიც დამახასიათებელია GLS პროგრამისათვის, სახელდობრ:

- პროცედურა გამოორიცხავს ერთნაირი მნშვნელობის მქონე პარამეტრებისაგან ერთ-ერთის ამორჩევას შემთხვევითი შერჩევის გზით;

- პოზიტიური ცნება გამომუშავდება ნეგატიურისაგან დამოუკიდებლად, რის გამოც უარყოფითი ხდომილების არასაკმარისი წარმოდგენა ნაკლებ ზეგავლენას ახდენს ცნების ლოგიკური ფორმით წარმოდგენაზე;

- კონცეპტუალური მეთოდი საშუალებას იძლევა გადარჩევის გარეშე ფორმირებულ იქნას ცნება.

ამჟამად არსებული თანამედროვე ექსპერტული სისტემებიდან საყურადღებოა “MYCIN”-ის, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის ინფექციების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის განსაზღვრის პროცესში ექიმთა დასახმარებლად. სისტემის საფუძველს დედუქცია წარადგენს, რომელიც ფუნქციონირებს უკუმიმართულებით პროდუქციებისაგან აგებული ცოდნის საფუძველზე. “MYCIN”-ის კონსტრუქტორებმა გააერთიანეს სამართლიანი მსჯელობის თეორია პროდუქციულ სქემასთან. ეს თეორია საშუალებას იძლევა და/ან “ხეზე” სარწმუნოების ფაქტორის გათვალისწინებით გამოტანილი იქნას დასკვნა. “MYCIN” მოქმედი პროტოტიპია, რომლის გამოყენების სფეროს მედიცინა წარმოადგენს. სისტემის მიერ ჩამოყალიბებული გადაწყვეტილებანი, ხარისხის თვალსაზრისით, არ ჩამორჩება ადამიანის მიერ მიღებულ დასკვნებს. ცოდნის საფუძველები “MYCIN”-ში დაყოფილია ფაქტებად და პროდუქციულ წესებად (პროდუქცია). წესების საერთო რაოდენობა 400-ს აღწევს. დასკვნის გამოტანის პროცედურა სისტემაში რეალიზდება “მიზნისკენ მიმართული” ამომწურავი ძიების სახით. დიაგნოზის დასმისას სისტემა მიმოიხილავს 100-მდე მისთვის ცნობილ დაავადებას და მათგან გამოყოფს იმ ნოზოლოგიას, რომელიც სხვებზე მეტად შეიცავს მოცემული პაციენტის მდგომარეობისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

ამ სისტემის ნაკლს, მისივე ავტორთა განცხადებით, წარმოადგენს ის, რომ სისტემის ვარგისიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად არის შერჩეული სარწმუნოების ფაქტორები.

როგორც უკვე აღინიშნა, ინტელექტუალური ცნების ფორმირება და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მოდელირება მედიცინაში წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ხელოვნური ინტელექტის (ექსპერტული სისტემების) კონსტრუირებაში.

შემოთავაზებულ EXPRESS'99-ში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული მიდგომებისა და ექსპერტული სისტემისათვის დამახასიათებელი დადებითი მხარეები, აგრეთვე ნიშანთვისებათა (სიმპტომთა) ცნების ფორმირების დამატებითი, ახლებური აღწერა:

სიმპტომები აღიწერებიან აკად. ვლ. ჭავჭავაძის მიერ შემოთავაზებული ალგებრული სიმრავლების სახით. კერძოდ, A_1 სიმპტომისათვის A_1 ნიშნავს მის არსებობას, ხოლო

არ არსებობას, ხოლო \bar{A}_1 ან ერთ ან მეორე მდგომარეობის არსებობას;

- სისტემა ემყარება ცოდნის საფუძვლებს, რომლებიც შექმნილია კონკრეტულ პაციენტთა ავადმყოფობის ისტორიების რეტროსპექტული ანალიზისა და ლიტერატურული წყაროების შესწავლა-განზოგადების შედეგად. გამოყენებულ იქნა ინფექციური პათოლოგიის ცენტრში არსებული ბოტულისმიით დაავადებულ პაციენტთა ავადმყოფობის ისტორიები [6];

- ცოდნის საფუძვლები ჩამოყალიბებულია ამ დარგის წამყვან პრაქტიკოს ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების გათვალისწინებით, შესაბამისად გენერირებულ იქნა სუბიექტური და ობიექტური ცოდნის საფუძვლები;

- ექსპერტული სისტემის მონაცემთა და ცოდნის ბაზებში შეტანილია ბოტულისმისა და მისი მსგავსი დაავადებებისათვის დამახასიათებელ სიმპტომთა და ნიშანთვისებათა სპექტრი (სულ 154 ნიშანი), რომელიც შემდგომ დაყოფილ იქნა სამ ქვესიმრავლედ (მიღებული დაყოფა შედარებით პირობითია და მისი ცვლილება შესაძლებელია ახალი მტკიცებულებებისა და ფაქტების დამატების მეშვეობით, ექსპერტული სისტემების შემდგომი განვითარება-სრულყოფის მიზნით).

პირველ ქვესიმრავლეში გაერთიანებულია ის სიმპტომები და თავისებურებანი, რომლებიც ბოტულისმის განვითარებისას ხშირად გვხვდებიან და გააჩნიათ მაღალი სადიაგნოსტიკო ღირებულება (ე.წ. “მნიშვნელოვანი” სიმპტომები).

მეორე ქვესიმრავლეში გაერთიანებულია ის სიმპტომები და თავისებურებანი, რომლებიც ბოტულიზმის განვითარებისას შეიძლება არსებობდნენ, ან არ არსებობდნენ და შესაბამისად მცირე სადიაგნოსტიკო ღირებულება გააჩნიათ (ე.წ. “ნაკლებმნიშვნელოვანი” სიმპტომები).

მესამე ქვესიმრავლეში გაერთიანდა ყველა ის სიმპტომი და თავისებურება, რომელიც ბოტულიზმის განვითარებისას პრაქტიკულად არ აღინიშნება, მაგრამ ახასიათებს მის მსგავს ნოზოლოგიებს და შესაბამისად ბოტულიზმის თვალსზრისით დიაგნოსტიკური ღირებულება არ გააჩნიათ (ე.წ. “უმნიშვნელო” სიმპტომები).

ისევე როგორც ბოტულიზმის შემთხვევაში, სიმპტომთა კლასიფიკაციის ზემოაღნიშული წესის ანალოგიურად მოხდა დანარჩენ ნოზოლოგიებისათვისაც კლინიკურ ნიშანთა და თავისებურებათა ინდივიდუალური დახარისხება.

ამრიგად, ინფორმაციულ მონაცემთა შექმნილი ბაზა წარმოადგენს ბოტულიზმისა და მისი მსგავსი სხვა ნოზოლოგიებისათვის დამახასიათებელ სიმპტომთა და თავისებურებათა პარამეტრულ ველს, რომელიც ცალკეული პათოლოგიური მდგომარეობისათვის ინდივიდუალურად სამ ქვესიმრავლედ არის წარმოდგენილი.

EXPRESS'99-ში შეტანილი აგრეთვე თითოეული დაავადებისათვის ცოდნის საფუძველზე წინასწარ შედგენილია ცალკეული ნოზოლოგიის შესაბამისი ეტალონი, ანუ კონცეპტი.

შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სახის მიდგომა და ანალიზი სხვა ექსპერტულ სისტემებში არ არის გამოყენებული.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დასკვნის (გადაწყვეტილებები) მიღების მექანიზმი (ლოგიკური დასკვნების მანქანა) ემყარება ცალკეული ნოზოლოგიის შესაბამის ეტალონებთან მონიტორინგს (შედარებას). დასკვნის გამოტანა ეფუძვნება საანალიზო მდგომარეობის მიხედვით აგებულ ე.წ. მინიჭების ფუნქციებისა (რომელთა მნიშვნელობა ფიქსირდება 0-სა და 1-ს შორის. 0 შეესაბამება რომელიმე ქვესიმრავლის შესაბამისი სიმპტომების არ არსებობას, ხოლო 1 აღნიშნავს პათოლოგიურ (ეტალონური მაქსიმუმი) მნიშვნელობას) და ნოზოლოგიებისთვის შესაბამისი მინიჭების ფუნქციების შედარებას. ამ შემთხვევაში საერთო (ინტეგრირებული) დასკვნა (ნოზოლოგიათა სამივე ქვესიმრავლის მიხედვით) გამომდინარეობს ჰემინგის წრფივი

დაცილებების ხარისხობრივ-კრიტიკული მნიშვნელობიდან 0÷1 ფარგლებში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო მცირეა ჰემინგის დაცილება, მით უფრო ემსგავსება პაციენტის პათოლოგიური მდგომარეობა ამა თუ იმ სტანდარტულ დიაგნოზს.

წარმოდგენილი EXPRESS'99 პროგრამულ-ინსტრუმენტული სისტემის პირველი მოქმედი ვერსიაა. სისტემა ითვალისწინებს ახალ მტკიცებულებათა (წესების) და ფაქტების შემოტანას მისი შემდგომი მოდიფიკაციისა და განვითარება-სრულყოფის თვალსაზრისით.

EXPRESS'99-ის არსებული ვერსია გამიზნულია კომერციული რეალიზაციისათვის, როგორც საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებისათვის, აგრეთვე სათანადო მოდიფიკაციის შემდეგ საერთაშორისო მასშტაბითაც.

ლიტერატურა

1. კიბერნეტიკის ინსტიტუტის შრომები, ტ.1, თბილისი, 1977 წ.
2. **Экспертные системы: состояние и перспективы. Сб. научных трудов и пред.** Д.А.Поспелова. “Наука”, М.1989
3. Хант Э., Морин Дж., Стоун Ф. - “**Моделирование процесса формирования понятий на вычислительной машине**” Мир. М.1970.
4. **Чавчанидзе В. В. Абстрактно-теоретическое решение общей задачи распознавания образов стochизирования теории концептуального интеллекта**, Сообщ. АНГССР, т. 76, №2. Тбилиси 1974.
5. **Чавчанидзе В. В., Корнеева А. В. Аналитический фильтрационный метод формирования понятий**. Сообщ. АНГССР, т. 65, №3, Тбилиси, 1972.
6. **Хмаладзе И. Г. Персональная экспертная система “EXPRESS-99” для ранней дифференциальной диагностики на примере болезни Паркинсона**. Медицинские новости Грузии №6(51), Тбилиси, 1999.
7. Попов Э. В. **Экспертные системы**, “Наука”, М.1987.

**ლემკოზაშის ნააღრევი ღიაზნოსტიკის მასპერტული
ნისტემის კონსტრუირების საკითხისაღრვი**

ასკ. მ.მჟიღლიძე, კროფ. ზ.ცინხელაზნოვილი, ღ.ბარაუჯაპა

მართვის სისტემების ინსტიტუტი

კონსტრუირებადი ექსპერტული სისტემა შეიძლება მიეკუთვნოს ისეთ ინფორმაციული სისტემების კლასს, რომლებიც იკავებენ შუალედურ ადგილს ექსპერტულ და ტრადიციულ ინტელექტუალურ სისტემებს შორის.

როგორც ცნობილია [1] ინტელექტუალური ინფორმაციული სისტემები, ისე როგორც ექსპერტული სისტემები, ემყარებიან ცოდნის საფუძვლებს (რომელსაც ამყარებს მომხმარებელი ინტერფეისის საშუალებით სისტემასთან), ლოგიკური დასკვნების მანქანასა და თავისი მოქმედებების განმარტებას. ამ სისტემებს შორის განსხვავება მხოლოდ ლოგიკური დასკვნების ორგანიზაციაში ვლინდება.

ამ მიმართებით [1] ‘ხელოვნური ინტელექტების პრობლემების’ სერიაში და. პოსპელოვმა, ხელოვნური ინტელექტის შრომებით, განსაზღვრა ოთხი ძირითადი მიმართულება: 1) ცოდნის წარდგინების პრობლემა; 2) დაგეგმვის პრობლემა; 3) ურთიერთობის პრობლემა; 4) ყოფა-ქცევის ორგანიზაციის პრობლემა. აღნიშნული მიმართულებები ასახავენ შემდეგი სახის შინაარსს:

– საგნობრივი დარგის მიხედვით დაგროვილი დეკლარაციული ცოდნისა და მონაცემების უზარმაზარი მოცულობის (ათეულობით და ასეულობით ათასი ფაქტები და წესები) ინფორმაციული ბაზების შექმნა დაკავშირებულია ამ ინფორმაციის გადამუშავებასთან, შეცდომებისა და ურთიერთწინააღმდეგობრივობის გამოვლენასა და ა.შ. ამ პრობლემის გადაწყვეტას უწოდებენ ‘ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემას’.

– დაგეგმვის პრობლემა ემყარება საგნობრივ დარგში მოცემული ტიპის გზების ძიებას, ქსელურ სტრუქტურებსა და ნეირონულ ქსელებს.

– მომხმარებელსა და კომპიუტერულ სისტემას შორის ურთიერთობის პრობლემა ერთ-ერთი წამყვანი პრობლემაა, რომელიც ეფუძნება ამოცანაში მოცემული პირობების შესაბამისად კონცეპტთა სიმრავლიდან სათანადო ელემენტის შერჩევას;

– ინფორმაციული სისტემის ყოფა-ქცევის ორგანიზაციის

აღწერა, რომელიც საშუალებას მისცემს მომხმარებელს გაერკვეს და გაანალიზოს შესაძლებლობები და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს კიდევ მასში შესწორება.

ასეთი ტიპის ინტელექტუალურმა ინფორმაციულმა სისტემებმა (რომელთა კლასსაც განეკუთვნება შემოთავაზებული სისტემა) ფართო გავრცელება ჰპოვა. ეს სისტემები მოიცავენ პროგნოზირების, მართვის, დიაგნოსტიკის, კონტროლის, ინტერპრეტაციისა და მონიტორინგის სპექტრის ამოცანების გადაწყვეტას [2].

ექსპერტული ავტომატიზებული სისტემა - ES "LEUKOS" წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის აბსტრაქტულ მოდელს, რომელიც აგებული იქნება KNOW HOW-ს პრინციპზე. ამ სისტემების აბსტრაქტული მოდელი განვითარდება საგნობრივი დარგის ექსპერტთა პროფესიონალური ცოდნის საფუძვლების, ექსპერტთა დაკვირვების მონაცემების, ავადმყოფთა ისტორიების, რეტროსპექტული მონაცემების ანალიზისა და ლიტერატურული წყაროების მონაცემთა განზოგადების შედეგად. მოცემული სისტემა განიხილავს მწვავე ლეიკოზების ორ სახეს - ლიმფობლასტურს და მიელობლასტურს (ლიმფოიდური და მიელოიდური ფორმა).

ექსპერტულ სისტემაში ერთ-ერთი უმთავრესია ინტელექტუალური ცნების ფორმირება (კონცეპტი), რომელიც დამყარებულია აკად. ვლ.ჭავჭავანიძის "კონცეპტუალური თეორიის" საფუძვლებზე. გარდა ამისა ლოგიკური დასკვნების მანქანის შედგენაში გამოყენებულ იქნება ფაქტებისა და წესების დესკრიფციული აღწერის ენა და შესაბამისი მოდელები არამკაფიო სიმრავლეთა და შესაძლებლობების და ნეორონული ქსელების გამოყენებით.

არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის საფუძვლების გამოყენებით ძირეული ცნებებისა და განმარტებების (კომპონენტ-კონცეპტები) დესკრიფციული აღწერა საშუალებას იძლევა, მოცემულ საგნობრივ დარგში, დამოუკიდებლად მკვლევარის მიერ განვითარებული სუბიექტური სახის მსჯელობები, მექანიზმები და წარმოსახვები. ამ შემთხვევაში X კომპონენტთა მდგომარეობის ვექტორი შეიძლება დაუკავშირდეს G შესაძლებლობათა განაწილებას, რომელიც რიცხობრივად ტოლი იქნება m კომპონენტთა მიხედვით აგებული მინიჭების F ფუნქციებისა F არამკაფიო სიმრავლეში. ამის შესაბამისად მოცემული $X:R(x)=F$ ვექტორისათვის განისაზღვრება შესაბამისი შეზღუდვები, სადაც R -

გადაწყვეტილებათა მიღების წესებია [3].

მინიჭების μF ფუნქციების მნიშვნელობებით (რომლებიც აპროქსიმირდება ალწერებთან სპეციალური სახის ფუნქციებით) შეიძლება დახასიათდეს განსახილველ კომპონენტად - კონცეპტთა ველი და მათი საშუალებით ფიქსირებული გადახრების ხარისხობრივი-კრისტალური მნიშვნელობები. გადაწყვეტილებათ მიღების ხასიათისა და შესაძლებლობათა განვითარების მიხედვით შესაძლებელი ხდება აივოს თვით ლოგიკური დასკვნების განლაგებაც.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კომპონენტ-კონცეპტების ცალკეული მნიშვნელობების მინიჭების ფუნქციები, აგრეთვე ინტესირებული შეფასებაც გაიზომება ერთი და იგივე ხასიათის სკალებით. კერძოდ, როდესაც მინიჭების μF ფუნქცია ეტოლება 0-ს, მაშინ კომპონენტ-კონცეპტთა სადიაგნოსტიკო ღირებულაბა პრაქტიკულად უმნიშვნელოა და მისი უგულველყოფა შეიძლება, ხოლო როდესაც ეს ფუნქცია უახლოვდება ერთს, ან მაშინ ფიქსირდება კომპონენტ-კონცეპტთა სადიაგნოსტიკო ღირებულების მაქსიმუმი. თვით სკალა 0, 1 ფარგლებში შეიძლება დაიყოს ხარისხობრივ-კრიტერიალური შეფასების მიხედვით გარკვეულ გრადაციებში (ჰარინგტონის სკალა).

მეტად მნიშვნელოვანი იქნება ექსპერტული სისტემის აგებაში გათვალისწინებული იყოს ე.წ. “კოგნიციური სტილის” გამოყენება [4], რომელიც აქტიურად იკიდებს ადგილს თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში. “კოგნიციური სტილის” გამოყენება ემპირიულ დიაგნოსტიკაში ობიექტური და სუბიექტური რეალობების სრული შერწყმის შესაძლებლობებს ქმნის. ამ მიდგომის გამოყენება გათვალისწინებულია ასაგებ ES “Leukos”-ში.

აღსანიშნავია აგრეთვე ამ სისტემაში გადაწყვეტილებათა პროცესების მართვაში და დიაგნოსტიკურ განსჯებში ნეირონული ქსელების გამოყენება, რომლებიც ასაგებ სისტემაში მოდიფიცირებული სახით იქნება წარმოდგენილი [5].

დასასრულს შეიძლება წარმოვადგინოთ ის ძირითადი მოთხოვნები [6], რომელიც წაყენება ES “Leukos”-ს.

1. სისტემის კომპეტენტურობის დონე მაღალი უნდა იყოს მომხმარებლის პოფესიონალურ კომპეტენტურობაზე.

2. სისტემის დიაგნოსტიკური ლოგიკა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული და გასაგები ექიმის ბუნებრივი ლოგიკისათვის.

3. სისტემას უნდა გააჩნდეს განმარტების საშუალება.

4. დიაგნოსტიკა დაკავშირებული უნდა იყოს გადაწყვეტი-

ლებასთან, მოცემული დონის დახმარების დროს.

5. სისტემის ცოდნის საფუძვლები ღია უნდა იყოს შევსების და კორექციისათვის ახალი ფაქტებისა და წესების შემოტანისას, სისტემის ალგორითმისა და სტრუქტურის ცვლილების გარეშე.

6. სისტემას უნდა შეეძლოს სხვადასხვა რეჟიმებში მუშაობა, მათ შორის ინტერაქტიულ რეჟიმში, აგრეთვე მუშაობა მცირე ინფორმაციით და მოგვცეს მისი შესაბამისი დასკვნა.

7. სისტემასთან მიმართება შესაძლებელი უნდა იყოს რომელიმე ერთი წამყვანი სიმპტომის (კომპონენტ-კონცეპციის) მიხედვითაც კი.

8. მომხმარებლისათვის სისტემასთან მიმართება მოხერხებული უნდა იყოს.

9. შესაბამისი მოზადების შემდეგ სისტემასთან მუშაობა უნდა შეძლოს დილეტანტმაც.

10. სისტემის მიერ გაცემული დასკვნები გასაგები უნდა იყოს მომხმარებლისათვის ბუნებრივ ენაზე.

ES “Leukos” აიგება როგორც მზა პროგრამულ-ინსტრუმენტული პროდუქტი, რომლის კომერციული რეალიზება შესაძლებელი იქნება საქართველოს (და მარტო საქართველოს) სხვადასხვა დონის სამედიცინო დახმარების ავტომატიზებული საკონსულტაციო ცენტრებში და შესაბამისი მოდიფიკაციის შედეგად საერთაშორისო მასშტაბითაც.

ლიტერატურა

1. Любарский Ю. Я. Интеллектуальные информационные системы М., “Наука”, 1990.
2. Романова И. М. Модель для построения экспертной системы. Журнал “Научно-техническая информация” серия 2. Информационные процессы и системы, № 7, 1992.
3. Лопухин В. А., Гурылева А. С. Автоматизация визуального технического контроля в электронном приборостроении. Л., “Машиностроение”, 1987.
4. Корнилова Г. В., Тихомиров О. К. Принятие интеллектуальных решений в диалоге с компьютером. Издательство Московского университета, 1990.
5. Чавчანიдзе В. В. Аналитическое решение задачи формирования понятий и распознавания образов. Сообщения АН ГССР, т. 61, № 1, 1971.
6. Хайг А. Автоматизированная диагностическая экспертная система. Экспертные системы: состояние и перспективы. Сборник научных трудов. М., “Наука”, 1989.

მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია

UDC 621.81:539.4

**მიმართული ბაზის სისტემის მახასიათებლების
ორი სისტემის და მათ ზორის დამოკიდებულების
შესახებ**

დოკ. ბ. ზანაიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მექანიკა-მანქანათმშენებლობის

ფაკულტეტი

ტექნოლოგიური სისტემის - ჩარხი-სამარჯვი-იარაღი დეტალის (ჩხილ) - შემდგენი ელემენტების საბაზო ზედაპირების კონტაქტური დეფორმაციების შედეგად წარმოქმნილი დრეკად გადაადგილებათა განსაზღვრისათვის დღეისათვის რეკომენდირებულია სამი თეორიული მოდელი ანუ საანგარიშო სქემა

1. მოდელი თანაბარსიხისტიანი ფუძით (ნახ.1,ა) [1,2];



2. წერტილოვანი მოდელი (ნახ.1,ბ) [3,4];

3. წერტილოვანი მოდელის ექვივალენტური, ან უფრო მოკლედ, ექვივალენტური მოდელი (ნახ.1,გ) [5,6].

ექსპერიმენტალური მონაცემებიდან [1,2] გამომდინარეობს, რომ თანაბარსიხისტიანი ფუძის მქონე მოდელი იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგებს იმ შემთხვევებში როდესაც შეპირაპირებული საბაზო ზედაპირების წყვილიდან ორივე, ან ერთ-ერთი მათგანი, მცირე გაბარიტული ზომებისაა, ანდა ორივე შეპირაპირებული ზედაპირები იმდენად მაღალი სიზუსტით არის დამუშავებული, რომ მათ გეომეტრიულ ფორმაზე მაკროგადახრების (არასწორხაზოვნობის, არასიბრტყელობის და სხვ.) კონტაქტურ დრეკად დეფორმაციებზე გავლენა შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული.

რეალური გაბარიტული ზომების და ეკონომიური სიზუსტით დამუშავებული საბაზო ზედაპირების შემთხვევებში კი, როგორც გამოკვლევები [3,4] და ანალიზი [5,6] ადასტურებს, არ შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული შეპირაპირებული საბაზო ზედაპირების ურთიერთკონტაქტის წერტილოვანი ხასიათი (ნახ.1,ბ) და ბაზების მცირე და საშუალო სიდიდის ძალებით დატვირთვისას,

საყრდენი წერტილების ექვსი წერტილის კანონით განაწილება. კონტაქტურ დეფორმაციებზე საბაზო ზედაპირების ფორმაზე მაკროგადახრების დიდი გავლენა აღიარებულია აგრეთვე ნაშრომში [1], მაგრამ მასში ეს კეთდება შესაბამის დრეკად გადაადგილებათა საანგარიშო ფორმულებში მნიშვნელოვანი სიდიდის შემასწორებელი კოეფიციენტების შეყვანით და თანაბარსიხისტიანი ფუძის მქონე მოდელის (ნახ.1,ა) გავრცელებით მაკროგადახრებიანი ზედაპირებით შეპირაპირების შემთხვევებისათვისაც. გამოთვლები და ანალიზი კი ცხადყოფს [6], რომ მაგალითად მიმართველ ბაზად გამოყენებული რეალური ბრტყელი პირაპირის დრეკადი სისტემის წერტილოვანი მოდელის (ნახ.1,ბ) თანაბარი სიხისტის ფუძის



ნახ.1 მიმართველ ბაზად გამოყენებული ბრტყელი პირაპირის დრეკადი სისტემის თეორიული მოდელები (ა - მოდელი თანაბარ სიხისტიანი ფუძით, ბ - წერტილოვანი მოდელი, გ - წერტილოვანის ექვივალენტური მოდელი) და მათი ელემენტები: O_1 - ბაზის გეომეტრიული ცენტრი; A - თანაბარსიხისტიანი ფუძე; 4 და 5 - ბაზის საყრდენი წერტილების დრეკადობის ექვივალენტური ზამბარები; O - ბაზის სიხისტის ცენტრი; Γ - სიხისტის ცენტრის დრეკადობის ექვივალენტური ზამბარა და სიხისტის მთავარი ღერძი; Π - ბაზის xy სიბრტყეში კუთხური შემობრუნების დრეკადობის ექვივალენტური ზამბარა.


მქონე მოდელით (ნახ.1,ა) შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ერთ კერძო შემთხვევაში - როდესაც პირაპირი დატვირთულია ცენტრალური ანუ გეომეტრიულ ცენტრში მოქმედი ძალით და ამ ცენტრის მიმართ სიმეტრიულად არიან განლაგებულნი ბაზის საყრდენი წერტილები. ყველა დანარჩენ, პრაქტიკულად გაცილებით ხშირად შესაძლო შემთხვევებში, წერტილოვანი მოდელის თანაბარი სიხისტის ფუძის მქონე მოდელით შეცვლას თან დევს გაანგარიშებით მიღებულ დრეკად გადაადგილებათა არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი განსხვავებაც.

ამავე დროს, რეალურ ტექნოლოგიურ სისტემებში (ჩსიდ) პრაქტიკულად გამოყენებული კონსტრუქციის ბაზების და მათი შეპირაპირებათა დრეკადი სისტემების წერტილოვანი მოდელის (ნახ.1,ბ) მახასიათებლები - ბაზების საყრდენი წერტილების კოორდინატები და სიხისტის (ან დამყოლობის) კოეფიციენტები, როგორც წესი, უცნობი სიდიდეებია და ექსპერიმენტალური მეთოდებით მათი განსაზღვრა სერიოზულ პრაქტიკულ სიძნელებთან არის დაკავშირებული [4]. ძირითადად სწორედ ამ გარემოებით არის ნაკარნახევი ნაშრომებში [5,6] ბაზებით შეპირაპირების დრეკადი სისტემის წერტილოვანი მოდელის ნაცვლად მისი ექვივალენტური მოდელის ცნების შემოტანა და გამოყენება.

ქვემოთ გადმოცემულია რეკომენდირებული მოდელის (ნახ.1,გ) არსი და წერტილოვან მოდელთან მისი ექვივალენტურობის დამადასტურებელი დამოკიდებულებები. გამოვლენილი და ნაჩვენებია აგრეთვე ის მეთოდური ხასიათის თავისებურება და უპირატესობაც, რაც გააჩნია რეკომენდირებულ მოდელს როგორც თანაბარი სიხისტის ფუძის მქონე მოდელთან, ისე წერტილოვან მოდელთან შედარებით.

აღნიშნული საკითხების გაშუქებისათვის ფრიად მოხერხებული აღმოჩნდა სახარატო ჩარხის წინა (მარცხენა) და უკანა ცენტრებით შექმნილი, ე.წ. ცენტრების ხაზის დრეკადი სისტემა (იხ.ნახ.2). საქმე იმაშია, რომ ცენტრებზე დაყენებული ხისტი ნამზადისათვის ნახსენები ცენტრების ხაზი ჰორიზონტალურ xy სიბრტყეში ასრულებს ისეთი მიმართველი ბაზის ფუნქციას, რომლის საყრდენი წერტილების (წინა და უკანა ცენტრების) კოორდინატები ცნობილი სიდიდეებია და არც მათი სიხისტის (ან დამყოლობის) კოეფიციენტების ექსპერიმენტალური მეთოდით განსაზღვრა წარმოადგენს რაიმე სიძნელეს. ამიტომ ნახ.2,ა სქემაზე მოტანილი ცენტრების ხაზის (xy სიბრტყეში ნამზადის მიმართველი ბაზის) დრეკადი სისტემის წერტილოვანი მოდელის მახასიათებლები - საყრდენი წერტილების კოორდინატები და მათი სიხისტის (ან დამყოლობის) კოეფიციენტები, შეიძლება მივიჩნიოთ ცნობილ და მოცემულ სიდიდეებად.

ნახ.2,ბ სქემაზე მოტანილია ცენტრების ხაზის დრეკადი სისტემის წერტილოვანი მოდელის ექვივალენტური სქემა. ამ მოდელის მიხედვით ცენტრების ხაზის დრეკადი სისტემის მახასიათებლებია: სიხისტის ცენტრის კოორდინატები ($x_0, 0$), სიხისტის მთავარი ღერძის მიმართულებით სიხისტის ცენტრის დამყოლობის (K_0) ან სიხისტის ($J_0 = 1/K_0$) კოეფიციენტი და სიხისტის ცენტრის მიმართ ცენტრების ხაზის კუთხური დრეკადი შემობრუნების დამყოლობის (K_m) ან სიხისტის ($J_m = 1/K_m$) კოეფიციენტი.



ნახ.2.

სახარატო ჩარხის ცენტრების ხაზის XY სიბრტყეში მოქმედი მიმართველი ბაზის დრეკადი სისტემის მოდელირება:

- ა) წინა (მარცხენა) და უკანა ცენტრების დრეკადობის ექვივალენტური ორი გადატანითი მოძრაობის ზამბარის (1,2) საშუალებით;
- ბ) იგივე ცენტრების დრეკადობის ექვივალენტური ერთი გადატანითი (3) და ერთი ბრუნვითი (4) მოძრაობის ზამბარის საშუალებით. (ნაგულისხმევია, რომ ცენტრებზე დაყენებულია იმდენად მაღალი სიხისტის ნამზადი, რომ მისი საკუთარი დეფორმაცია შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული).

